

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



საია ლაშა ვაცiasათვის დაბარალებულის სტატუსის მინიჭებას მოითხოვს

დღეს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) ლაშა ვაციას სახელით საჩივრით მიმართა თბილისის პროკურატურას, რომლითაც ითხოვს მისთვის დაბარალებულის სტატუსის მინიჭებას. საჩივრით მიმართვა საჭირო გახდა მას შემდეგ, რაც საქმის ბედამხედველმა პროკურორმა ლაშა ვაციას უარი უთხრა დაბარალებულის სტატუსის მინიჭებაზე. დაბარალებულის სტატუსის გარეშე ლაშა ვაცია მოკლებულია შესაძლებლობას გაცნოს საქმის მასალებს და იყოს საქმის კურსში მის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე გამოძიების მიმდინარეობის შესახებ. ის ასევე ვერ სარგებლობს საპროცესო კანონმდებლობით დაბარალებულისთვის მინიჭებული სხვა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



უფლებებით და საქმეში მონაწილეობს მხოლოდ მონწმის სტატუსით.

როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, ლაშა ვაცია 2018 წლის 09 მარტს ქ. თბილისში ღამის საათებში პოლიციის სამმა თანამშრომელმა საკუთარი სახლის სადარბაზოსთან დააკავა, პოლიციის მანქანაში იძულებით მოათავსა და აღნიშნულ მანქანაში მიაყენა როგორც ფიზიკური, ისე სიტყვიერი შეურაცხყოფა. აღნიშნულის შედეგად ლაშამ განიცადა როგორც ძლიერი ფიზიკური ტკივილი, ისე მორალური ტანჯვა.

აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება 2018 წლის 09 მარტს დაიწყო. ამ დროის განმავლობაში ჩატარებულია არაერთი საგამოძიებო მოქმედება, მათ შორის რამდენჯერმეა გამოკითხული ლაშა ვაცია, ასევე ჩატარებულია ამოცნობა, რომლის ფარგლებშიც ლაშამ მოძალადე პოლიციელები ამოიცნო. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, დღემდე არ მომხდარა პოლიციელების სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემა, ასევე, ლაშა ვაცია დღემდე არ არის ცნობილი დაზარალებულად.

საია მოუწოდებს თბილისის პროკურატურას, დააკმაყოფილოს წარდგენილი საჩივარი და ლაშა ვაცია ცნოს დაზარალებულად.